# ლოკალური მონაცემთა ბაზის შექმნა

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია ლოკალური მონაცემთა ბაზის შექმნა. **ფაილი/შევქმნათ ახალი მონაცემთა ბაზა/ ლოკალური**




იხილავთ ეკრანს:




ველში „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ მიუთითეთ მონაცემთა ბაზის დასახელება .
ველში „ორგანიზაციის ტიპი „ მიუთითეთ ორგანიზაციის ტიპი.დააწკაპეთ მაუსი ღილაკზე ჩამოიშლება ორგანიზაციების ტიპების ჩამონათვალი:




ველში „საწყისი მონაცემების ენა“ მიუთითეთ ენა რომელშიც უნდა ხედავდეთ მონაცემებს. დააწკაპეთ მაუსი ღილაკზე ჩამოიშლება ენის ჩამონათვალი




აირჩიეთ სასურველი მონაცემების ენა.

თუ გაქვთ მულტი სავალუტო გასაღები მონაცემთა ბაზის შექმნის ეკრანზე გაჩნდება საარიცხვო ვალუტის ასარჩევი ველი :




ველში „საარიცხვო ვალუტა “ მიუთითეთ ვალუტა. დააწკაპეთ მაუსი  ღილაკზე ჩამოიშლება ვალუტების სია :




აირჩიეთ სასურველი ვალუტა.

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია გქონდეთ ორი ბაზური ვალუტა.

თუ გაქვთ გასაღები ორმაგი საარიცხვო ვალუტით მონაცემთა ბაზის შექმნის ეკრანზე გაჩნდება მეორე საარიცხვო ვალუტის ასარჩევი ველი :




ველის „მეორე “ გასწვრივ დააწკაპეთ მაუსი ღილაკზე ჩამოიშლება :




აირჩიეთ სასურველი მეორე სააღრიცხვო ვალუტა.
მონაცემთა ბაზის შესაქმნელად დააჭირეთ ღილაკს „OK“
იხილავთ ეკრანს:




თუ გსურთ შეავსეთ ველები შესაბამისი ინფორმაციით.შეგიძლიათ ეს ეკრანი ღილაკზე „შევინახოთ “ შეინახოთ ველების შევსების გარეშეც. ამ შემთხვევაში მონაცემთა ბაზაში შეხვალთ პაროლის გარეშე.